

# ბეეროთ იცხაკ

"ბეეროთ იცხაკ" - იბეჭდება ჩვენი მასწავლებლისა და სულიერი წინამძღოლის რ. იცხაკ ზილბერის ხსოვნის საპატივსაცემოდ, რ. ი. პოლიშუკის ხელმძღვანელობით.

ნომერი იბეჭდება შაბათი ბენ მირიამ მოძვერავილის სულის ასამაღლებლად



## ბ ე ჰ ა ა ლ ო თ ხ ა

მოკლე შინაარსი (რ. იცხაკ ზილბერის წიგნიდან)

ჩვენი კვირის თავში თორა მოგვითხრობს, მენორის ანთებისა და გამოყენების წესებს, რომლის შესრულებითაც ეოპენი ასრულებს მიცვას. ასევე მოთხრობილია ლევიტებზე თუ როგორ ემზადებოდნენ გადასატან ტამარში მსახურისათვის. თორა გვითხრობს ებრაელთა გადაადგილებაზე უდაბნოში და როგორ იყვნენ ლევიტები განლაგებულნი ამ გადაადგილებების დროს, რომელთაც გადაჰქონდათ წმინდა სკივრი. ამ თავში ასევე მოყვანილია ფესახის წესები. აჯანყება ებრაელებისა ბანაკში, რომელთა უკმაყოფილების საფუძველი, გამჩენის გზის მიტოვება იყო, მიზეზად დალილობასა და უხორცობას ასახელებდნენ, ასევე შექმნილი ილუზია თუ რა კარგად გრძნობდნენ თავს მიცრაიმში - წოდებული "სახლი მონობისა", ასევე თუ როგორ დასაჯა გამჩენმა უწმინდურნი და უმადურნი თავიანთი ნანდომითვე - ნანატრი ხორცით, რომელიც მათ ცხვირიდან გადმოსდიოდათ - გადაჭარბებული სიხარბის გამო. თავის ბოლოში კი სასჯელი მირიამისა და - მოშესი და აჰარონისა, რომელმაც მოშეზე წარმოთქვა ლაშონ ჰარა - ცუდ სიტყვაობა.

### მიცვა უნდა შესრულდეს გამჩენის ნების მიხედვით

ლევახ ტოვ

**"და გააკეთა ასე აჰარონმა, საპირისპიროდ მენორისა, ანთო სანთლები ვით უბრძანა გამჩენმა მოშეს"** (ზემიდბარ 8:3)  
გვასწავლიან ბრძენები წიგნში "სიფრი" - დავვიწერა თორამ ეს ფასუკი რათა შეაქოს აჰარონი.

მაგიდი დუბნიდან სვავს კითხვას: რა ქებაზე მიდის საუბარი აქ? უბრალო ადამიანმაც კი იცის რომ არ უნდა შეცვალოს გამჩენის ნება.

ახსნისთვის მოვიყვანთ იგავს, რომელშიც მოთხრობილია სამ ადამიანზე, რომლებიც დაავადნენ მძიმე სენით. მიმართეს მათ გამოცდილ ექიმს, მან კი ასწავლა თუ რომელი წამლები იყო საჭირო, როგორი თანმიმდევრობითა და განრიგით მიეღოთ, რათა მკურნალობა ყოფილიყო სწრაფი და ეფექტური. ერთ ერთმა მათგანმა გააკეთა ისე როგორც ექიმმა დაავალა, შესაბამისად მალე გამოჯანმრთელდა და ყველაფერი კარგად დასრულდა. მეორემ, რომელსაც ცოტა გაეგებოდა მედიცინაში, ექიმის მიერ გამოწერილ წამლებს შორის მისთვის ცნობილი წამლები მიიღო, უცნობზე კი თქვა უარი, გარკვეული დროის შემდეგ ავადმყოფობით გარდაიცვალა. მესამე პაციენტსაც ჰქონდა გარკვეული გამოცდილება მედიცინაში, მაინც მიმართა ექიმს თხოვნით აეხსნა მისთვის გამოწერილი წამლების ეფექტურობა და აზრი მათი მიღებისა, მიუხედავად იმისა რომ ექიმს არ ეთანხმებოდა, შესძლო თავის პირადი აზრების გაბათილება გამოცდილი ექიმის გადაწყვეტილების წინაშე, გააკეთა ექიმის გადაწყვეტილების მიხედვით და საბოლოოდ განიკურნა.

შესაბამისად ადამიანისთვის თორიდან მიცემული მიცვებიც შესაძლებელია სამი გზით შესრულდეს: პირველი ვინც ყოველგვარი გამოკვლევისა და მიზეზის გაგების გარეშე ასრულებს მიცვებს, რადგან არის გამჩენის სიტყვის შემსმენი. მეორე ტიპის ადამიანები მოითხოვენ ახსნასა და გააზრებას თუ რა მიზეზი შეიძლება იყოს მიცვაში, ესეთი ხალხი იმყოფებიან რეალურ საფრთხეში, რადგან თუ მოხდა ისე რომ მათ ვერ შესძლეს გაგება მიცვის შესრულების აზრისა, არის საშიშროება რომ ეს მიცვა მათ მიერ შეუსრულებელი დარჩება, სამწუხაროდ ბევრი ცდება და უშვებს ასეთ შეცდომას. მესამე ტიპის ხალხი მიუხედავად იმისა რომ ცდილობენ გაიგონ მიზეზი, ეძიებინ, იკვლევენ, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ იგებენ მიზეზს მიცვის შესრულებისა, მიუხედავად ამისა მათი შიში გამჩენის წინაშე, მათი ნდობა და რწმენა გამჩენის სიბრძნეში აიძულებს მათ შეასრულონ მიცვა ზედმიწევნით.

თორამ გვასწავლა - ქებიდან აჰარონისა, რომ არ დაიწყო მან მიება მიზეზისა, არამედ შეასრულა როგორც უბრძანა გამჩენმა, შესაბამისად ყველა ვინც ეძიება და ქექავს მიზეზს მიცვისა, შეაქვს მის აქტუალურობაში ეჭვი, ცდილობს შეცვალოს და მოარგოს დროს, მიზეზით: სამი ათასი წელი გავიდა და დრო შეიცვალა, მაგალითს სხვა ერებიდან იღებს, მათთან ხომ ყველაფერს დრო ცვლის. ამით გამოხატავს თითქოს და უფრო ჰკვირავს იყოს ვიდრე გამჩენი - მომცემი თორისა...



# ხმა სინაის მთაზე

(რაბი მოშე შაპიროს გაკვეთილებიდან)

**თქვა რაბი იეჰოშუა ბენ ლევი:** ყოველდღე გამოდის ხმა (გამჩენისა), ხორევის (სინაის) მთიდან და აფრთხილებს: ვაი! ქმნილებებს თორის სირცხვილის გამო!

გამოდის ხმა - ხმა იმის, ვისი ხმაც იქ ისმინა ისრაელმა, ხმა გამჩენისა, რომელმაც მოგვცა თორა. თორა რომელმაც გაგვხადა ნაწილი გამჩენისა, როგორც ნათქვამია ზოჰარში: ჰაკადომ ბარუხ ჰუ თორა და ისრაელი ერთია. როდესაც გამჩენმა დაიწყო ჩვენთვის თორის გადმოცემა, პირველი გაისმა "მე ვარ ღმ-რთი", ამ სიტყვებით გამჩენი გამოეცხადა სამყაროს, იმ წუთს ყველასთვის და ყველაფრისთვის გასაგები გახდა ვინ არის გამჩენი, დედამიწის ყველა წერტილში ისმოდა ეს სიტყვები - "მე ვარ ღმ-რთი", ცხოვრება გაჩერდა სამყაროში, ჩიტიც კი არ ფრთხილებდა იმ წამს და არც ზღვა ღელავდა, ყველა შეშინდა და ყველა დამორჩილდა მეფათა მეფეს, ბატონს სამყაროსას. სამყარომ მიაღწია იმ წამს სრულყოფილებას, რადგან მიწაზე დაეშვა თორა - აზრი და არსი დედამიწის შექმნისა, ყოველ დღე ვალდებული ვართ გვახსოვდეს და ვიგრძნოთ თავი თითქოს დღეს მივიღეთ თორა სინაის მთასთან, რადგან როგორც გვასწავლის რაბი იეჰოშუა - ყოველ დღე გამოდის ხმა, ხმა რომლის საშუალებითაც გამჩენი ეცხადება სამყაროს - ყველაფერი ემსახურება გამჩენის სახის გახსნას ამ ქვეყანაზე, თორა კი საშუალება ამის.

რატომ "ვაი"? რადგან "ვაი" არის ყველაზე ღრმა სიტყვა გამომხატველი ტკივილისა, სინანულისა, რომელსაც განიცდიან მწუხარების დროს, ზუსტად ამ სიტყვით - ამ ტკივილით მოგვმართავს გამჩენი, იქიდან საიდანაც მოგვცა თორა, აგვირჩია თავის ერად და დაგვარქვა თავის სახელი. მიზეზი მწუხარებისა? ყველამ კარგად ვიცით, თორა მივატოვეთ. გავიდა 75 წელი რაც უდიდესი ტრაგედია

დაატყდა ისრელის ერს. ტრაგედია, რომელმაც ექვსი მილიონი ებრაელი, ექვსი მილიონი შვილი გამჩენისა წაიყვანა ქვეყნიდან, ექვსი მილიონი სანთელი ჩაქრა იმ დროს. მიზეზი? დავტოვეთ თორა. დავიწყეთ დევნა იმისა რასთანაც კავშირი არ აქვს ებრაელს. ამას ვაკეთებთ დღესაც, დავდევთ სიცარიელეს, სხვა ერების ვნებებს და გამჩენისთვის საზიზღარს, ჩვენი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ვატარებთ უაზრობაში, როგორც ბრძანა მეფე შლომომ: "ამოება ამოებისა ..." (ქოჰელეთი), როგორც ცხელ წყალს ასდის ორთქლი და ქრება, არ რჩება არაფერი მისგან, ასევე გადის წლები, ცხოვრება, თაობები და არ რჩება არაფერი. ვანიჭებთ ყველაფერს უფრო მეტ მნიშვნელობას ვიდრე თორას, ჩვენი საქციელით ვიძახით - არის რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ვიდრე თორა, ეს არის სირცხვილი და სიმწარე თორისა. მიზეზი? სიშორე, უცოდინარობა, იმისა რაც მოგვცა გამჩენმა სინაის მთაზე, რადგან მასშია სიბრძნე საიდანაც შესაძლებელია განსაზღვროს ებრაელმა რა არის ნება გამჩენის.

სინაის მთაზე ისევ ისმის ყოველ დღე ხმა: ვაი! ქმნილებებს თორის სირცხვილის გამო! მაგრამ ამ ხმას არავინ ისმენს, არავინ უკვირდება, არავინ უღრმავდება და ეს არის - "ვაი"! ეს ხმა არ შეისმინეს მაშინაც - 75 წლის წინ და მივიღეთ ის რაც მივიღეთ.

გამჩენმა ყველაფერში ჩადო აზრი, არაფერი არ არის შექმნილი მისგან უბრალოდ, მოვა დღე და ამას ჩვენი თვალთ ვნახავთ. კარი ღიაა, შეღებაა საჭირო, ამას კი ჩვენს გარდა არავინ გააკეთებს, თორა ყველგანაა, კითხვა ჩვენშია - გვინდა ჩვენ ის თუ არა? გამჩენმა მოგვცეს ძალა, სურვილი და რწმენა რომ ჩვენ არ ვიყოთ - ქმნილებები, რომლებიც არცხვენენ თორას!



# ებრაელობის სამი ნიშანი

ნაწილი #1

ებრაელ მამაკაცს აქვს სამი ნიშანი რითიც განსხვავდება სხვა ერების წარმომადგენელთაგან. პირველი ამ სამი ნიშნიდან, არის "ბრით მილა" — წინდაცვეთა, თუ რატომ გახლავთ პირველი, გამომდინარე იქიდან რომ ვაჟს დაბადებიდან უკვე მერვე დღეს აჩნდება ზედ როგორც ნათქვამია: "და დაცვეთე წინ დღეს მერვესა დაბადებიდან...", და ასევე წერია: "ეს არის კავშირი — ბრითი ჩემსა და შენს შორის და ყველა თაობაში და შეინახეთ ის...", ხოლო დანარჩენ ორზე კი ვალდებულდება სრულფასოვნად შესვლისას ისრაელის ერში — ბარ მიცვა. გარდა ამისა, მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში სასჯელიც ყველაზე მძიმეა. სასჯელი ვისაც არ აქვს

ბრით მილა — არის სულის აღკვეთა. ამ თემაზე არის კამათი თორის კანონმდებლობის ორ გიგანტს — რამზამსა და რაავადს შორის. რამზამის აზრის მიხედვით მერვე დღეს მამა თორიდან არის ვალდებული მონათლოს შვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შვილს ყოველ წამს აქვს სულის აღკვეთა (რა თქმა უნდა თუ ბავშვი ჯანმრთელია და ექვემდებარება მონათვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრით მილა არ კეთდება რადგან ბავშვის სიცოცხლისთვის არის საშიში). რაავადი კი თვლის რომ, სულის აღკვეთის სასჯელი ეკუთვნის მას ვინც ცხოვრების ბოლომდე არ გაიკეთა ბრით მილა, ანუ გარდაიცვალა ისე რომ იყო მოუნათლავი.

ბრით მილის ვალდებულება როგორც უკვე ავლნიშნეთ, თავდაპირველად აქვს მამას ახალშობილის მოვლენიდან მერვე დღეს, თუ მამა არ არის ცოცხალი, ქალაქის ბეით დინი ვალდებულდება, ხოლო როდესაც ვაჟი აღწევს ცამეტ წელს ვალდებულება გადადის მასზე.

ბრით მილის მნიშვნელობასა და სიმკაცრეს წერილობით თორაში ვხვდებით, როდესაც გამჩენი გამოეცხადა მოშეს და მოუწოდა წასულიყო ეგვიპტეში ერის გამოსაყვანად ფარყოს მძიმე უღელიდან. მოშეს ეგვიპტეში გამგზავრებამდე რვა დღით ადრე შეეძინა ვაჟი, შესაბამისად ვალდებული იყო გაეკეთებინა ბრით მილა ახალშობილისთვის, ბრით მილის გაკეთების შემთხვევაში, მას მოუწევდა სამი დღე შეყოვნებულიყო, ვინაიდან ავადმყოფს პირველი სამი დღე და განსაკუთრებით მესამე დღე აქვს კრიტიკული ჯანმრთელობისთვის (*ცნობილია თორიდან*), რადგან მოშეს თვით გამჩენმა მოუწოდა ეგვიპტეში წასვლა, მას არ უნდოდა ამ მოთხოვნის დაყოვნება, გადაწყვიტა რომ ბრით მილას ახალშობილს პირველივე შესვენების ადგილას გაუკეთებდა. მოშე ოჯახითან ერთად გაემგზავრა ეგვიპტისკენ, მას თან ორი ვაჟი და მეუღლე — ციფორა ახლდა თან. ეგვიპტის საზღვრებთან ახლოს, მძიმე და დამღლევი გზის შემდეგ, ერთ ერთ სასტუმროში მოშემ შესვენება გადაწყვიტა. მოშემ თავი შეუძლოდ იგრძნო, როგორც წერია თორაში **"და იყო გზად სასტუმროში რომ შეხვდა ღმრთი (მოშეს) და**

**უნდოდა მოკვლა მისი"**, მიხვდა ციფორა რომ მოშე სიცოცხლეს ესალმებოდა, ციფორამ იცოდა მიზეზი ყოვლისა, იქვე მონათლა ბავშვი და იხსნა მოშე სიკვდილისგან. სინამდვილეში მოშეს გადაწყვეტილი ჰქონდა გაეკეთებინა ბრით მილა ამ ადგილას, მაგრამ პირველ რიგში სასტუმროს ქირაობითა და აუცილებელი ნივთების შემქნით დაკავდა, ხოლო ამის შემდეგ აპირებდა მოენათლა ახალშობილი. ვხედავთ თუ რა მკაცრად ითხოვს გამჩენი ჩვენგან ბრით მილის მიცვის შესრულებას. საჭიროა გავათვიცნობიეროთ თუ რა ძალის მატარებელია ეს მიცვა, როგორ იხსნა მოშე სიკვდილისგან. ბრძენები გვიხსნიან *"ვინც ასრულებს ბრით მილის მიცვას, თითქოს და აშენებს მიზბეახს — სამსხვერპლოს და სწირავს მასზე მსხვერპლს"*, ციფორამ ახალშობილის მონათვლით თითქოს და მოიტანა მსხვერპლი გამჩენის წინაშე. ასევე ბაბილონის თალმუდს მოჰყავს რაბი ელაზარის სიტყვები: *«მიზბეახი — სამსხვერპლო — მაზინ (აპურებს, მისი მადლით ჩამოდის საზრდო ციდან); მაზიახ — ამალღებს; მეხავევ — აყვარებს (გამჩენს ისრაელის ერს), მეხაფერ — ისყიდის (ცოდვებიდან), ვხედავთ მიზბეახი — სასხვერპლო გვეხმარება ამ ოთხ ასპექტში, რომლებიც იწყება ასო მემ-დან. მას მერე, რაც ციფორამ მონათლა ახალშობილი თითქოს და მოიტანა მსხვერპლი და იხსნა მოშე სიკვდილისგან».*

**კ ა ლ ა ხ ა**



**ვისი ხარჯით  
უნდა იქნას შესრულებული  
პატივისცემა მშობლისა?**

ეს კითხვა აქტუალურია მაშინ, როდესაც მშობლის პატივისცემა მოითხოვს გარკვეულ დანახარჯებს. თორის კანონი ითვალისწინებს რომ მშობლის პატივისცემა უნდა მოხდეს მშობლების ხარჯებით (*რა თქმა უნდა თუ შვილს აქვს საშუალება და სურვილი, შეუძლია თვით გაწიოს ეს ხარჯები, მაგრამ კანონის თვალსაზრისით მას არ აქვს ვალდებულება*), მაგრამ იმ შემთხვევაში როდესაც შვილს უწევს მშობლისთვის დახმარების გაწევა, შედეგად კი უხდება სამსახურის გაცდენა, ასეთ დანახარჯს მშობელი მას არ უნაზღაურებს, არამედ მშობლის ხარჯით ხდება ყოველი მათი საჭიროების დაკმაყოფილება, როგორცაა: დასასვენებლად წასვლა, რემონტი, ტანსაცმლის ყიდვა და ა.შ. თუ მშობლებს არ აქვს საშუალება თავის რჩენისა, მაშინ ვალდებულება გადადის შვილზე ან შვილებზე, თუ მათ რამდენიმე შვილი ჰყავთ, განურჩევლად სქესისა, ყველაზე თანაბრად ნაწილდება ხარჯი, რომელიც აუცილებელია

მშობელთა უზრუნველსაყოფად. უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც არც შვილს აქვს საშუალება არჩინოს მშობლები, კანონის მიხედვით ის თავისუფალია ამ ვალდებულებისგან, მაგრამ მორალის კანონის გათვალისწინებით, შვილი არის ვალდებული მიმართოს უკიდურეს ზომებს რათა მშობელმა არ იაროს ხელგაშვერილმა, თუნდაც მოუხდეს მას თვით სიარული ხელგაშვერილს. შვილი ასევე ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში დაკარგოს სამსახური ან განიცადოს დიდი ფინანსური დანაკარგი, რათა დაეხმაროს მშობელს. თუ შვილს ჰყავს მცირეწლოვანი შვილი ან შვილები, მისი შემოსავალი კი მხოლოდ საკმარისია ან შვილების ხარჯების უზრუნველსაყოფად ან მხოლოდ მშობლების ხარჯების უზრუნველსაყოფად, ბავშვების უზრუნველყოფა მეტად ავალდებულებს მას, ვიდრე მშობლისა.



# ძალა თვალისა

ნაწილი#1

თორაში გვაქვს მაგალითი, შეხედვის ძალისა, როდესაც უთხრა გამჩენმა მოშეს: **"ადი ამ მთაზე — ავარიმ (სახელი მთის) და შეხედე მიწას, რომელიც მივეცი ისრაელის შვილებს, და დაინახავ შენ მას, და მოკვდები, როგორც ძმა შენი — აჰარონი"**(ბემიდბარ 27:12-13).

მიზეზი მოშეს და აჰარონის სიკვდილისა იყო, შემდეგი — მათ არ მოადიდეს გამჩენის სახელი "კადემ"-ში, სადაც მათ უნდა ელოცათ გამჩენთან რომ კლდიდან წყალი (სასმელი) გამოსულიყო, მოშემ კი ხალხის დაჟინებული და უსამართლო ჩივილის შედეგად კლდეს ჯოხი დაარტყა, რის შედეგადაც გამოვიდა წყალი, მიუხედავად იმისა რომ ესეც სასწაული იყო, გამჩენის ნება იყო — ლოცვით მომხდარი ეს უკანასკნელი. მაგრამ მიუხედავად ამისა გამჩენმა მანინც მისცა მოშეს საშუალება დაენახა ერეც ისრაელი. ასევე გვიყვება მოშე თორაში: **"და იყო რომ ვევედრე ვედრებით გამჩენს იმ ჟამს ასე: ბატონო, ღმ-რთო ჩემო, ... , გეხვეწები დამრთე ნება გადავიდე იარდენზე და ვნახო მიწა — კარგი."** მაგრამ ბრახობდა გამჩენი ჩემზე თქვენს გამო, და მითხრა გამჩენმა: **"კმარა — აღარ დაამატო შენს სიტყვებს ამ თემაზე", ადი ამ მთაზე და აწიე თვალები (ერეც ისრაელისკენ)... რადგან არ გადახვალ ამ იარდენს.**

(დევარიმ 3:24-27) ერთი შეხედვით ძალზედ გაუგებარია — რისთვის უნდა დაენახა მოშეს ერეც ისრაელი, თუ მას არ მიეცემოდა საშუალება იქ შესვლის?

პასუხს ამ კითხვაზე გვცემს რაბი ელიაჰუ დესლერი წიგნში: **"მიხტავ მიელიაჰუ"** : მზერით ადამიანი ერთიანდება დანახულ საგანთან, ამიტომ მოშესთვის დანახვა ერეც ისრაელისა იყო დიდი სიკეთე გაკეთებული გამჩენისგან, რადგან მან ამით განიცადა სიახლოვე ერეც ისრაელთან.

ადამიანს აქვს ორი ძირითადი ორგანო, რომლითაც ეძლევა საშუალება გაცნოს გარე სამყაროს: თვალი და ყური. მაგრამ მათ შორის არის დიდი განსხვავება — სმენა არის უფრო ღრმა გრძნობა ხედვასთან შედარებით, ხედვა კი ბევრად ზედაპირულია. ამიტომ დამწერლობით თორაში სიტყვა "მოსმენა", ხშირად გამოხატავს ღრმა გაგებასა და დაფიქრებას, მაგალითად, როგორც გამჩენი მოგვმართავს თორაში:

**"ისმინე (იცოდე, გაათვითცნობიერე) ისრაელო, ღმ-რთი უფალი შენი (არის), ღმ-რთი ერთი"** (დევარიმ 6:4).

## გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი

- ორშაბათი: 20:30 რ. ხაიმ ქოენი (მამაკაცებისთვის)
- სამშაბათი: 20:30 რ. ხაიმ ქოენი (ქალბატონებისთვის)
- ხუთშაბათი: 21:00 რ. დავიდ ელიშაკოვი (მამაკაცებისთვის)
- მისამართი: ქ. ბათ-იამი, ბორუხოვის 10  
„ქართველების სალოცავი“
- სამშაბათი: 19:30 რაბანიტი ხანა (ქალბატონებისთვის)
- მისამართი: ქ. იერუშალაიმი „ნევე იაკოვ“ 27, ბინა 22  
ტელ: 054-56-13-909

შემოგვიერთდით ამ უდიდეს და წმინდა საქმეში - „თორის გავრცელება“ ქართულ დიასპორაში. სურვილის მფლობელს დაბეჭდოს "ზეეროთ იცხაკი" თავის სალოცავისთვის ან ნებისმერი ადგილისთვის სადაც თავს იყრის ქართველი ებრაელობა. მოგვწერეთ თქვენი იმეილი და გამოგიგზავნით ჟურნალის ელექტრონულ ვერსიას. მივაწვდინოთ თორის სიტყვები ყველა ებრაელს, გავანათოთ გამჩენის სახელი და მივიღოთ უდიდესი ჯილდო თორის გავრცელებისა. ერთად ვაშენოთ და ვიზრუნოთ ჩვენი თემის მომავლისათვის... შაბათ შალომ!

ლექსიკონი:	გამოჯანმრთელება:	ლეილუი ნიშმათ:	შაბათის დრო		
ცვი ხაიმ ბენ აჰარონ ოჯახით	დავიდ ბენ ლილი	ოსეფ ბენ ცევი ხაიმ	5 ივნისი	6 ივნისი	
ავრაჰამ ბენ იაკობ ოჯახით	მოშე ხაიმ ბენ ხავა	ავრაჰამ ბენ შალომ	შემოსვლა	გასვლა	რ.თამი
დავიდ ბენ ბენიამინ ოჯახით	ელიაშივ ბენ სარა	სიმანტოვ თამაზ ბენ იაკობ	7:02	8:24	9:00
შალომ ბენ სარა ოჯახით	მიხაელ ბენ სარა	ბენიამინ ბენ შაბთაი	7:22	8:28	8:58
გაბრიელ ბენ ავრაჰამ ოჯახით	შალომ ბენ სარა	თამარ ბათ შამილ	7:20	8:24	8:54
ოსეფ ბენ შალომ	რეფაელ ხაიმ ბენ ნაომი	ლალი სარა ბათ ბენიამინ	7:20	8:24	8:54
არიელ ბენ ლუდმილა	ნანა ბათ ხავა	ხავა ბათ ავრაჰამ	8:13	9:23	9:53
ელიაუ ბენ გაბრიელ	მაია ბათ ნანა	იცხაკ ბენ სიმა	8:49	10:44	11:14
ბენიამინ ბენ დავიდ	ლილი ბათ სარა	დალი ხაია ბათ მირიამ			

ვრცელდება უფასოდ, ნებისმიერ მსურველს ეძლევა უფლება გაავრცელოს. ტექსტის გავრცელების შემთხვევაში აუცილებლად მიუთითეთ კონკრეტული გამოცემის ნომერი და თვით წყარო გათვალისწინებით იმისა რომ ჟურნალი არის წმინდა თორის შინაარსის მატარებელი, საჭიროა მოთავსებული იქნას გნიზაში

დაგვიკავშირდით: **E-MAIL: beerotgeorgia@gmail.com**  
**TEL: 054-44-7-55-68** ბენიამინ კვსოშვილი